

როგორ დავაარსოთ სოციალური საწარმო

სოციალური საწარმო ბიზნეს პრინციპებით მოქმედი ორგანიზაციაა. მისი მასშტაბი შეზღუდული არ არის. ის შეიძლება აერთიანებდეს მცირე მაღაზიებსაც და მსხვილ კომპანიებსაც. მაგრამ, ჩვეულებრივი ბიზნეს სექტორისგან განსხვავებით, მას საზოგადოებისთვის ბევრად მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს. კერძოდ, მისი მთავარი მიზანი მომხმარებელთა ხარჯზე ფინანსური მოგების ზრდა არ არის. პირიქით, ორიენტირებულია საზოგადოებაში არსებული სოციალური პრობლემების მოგვარებაზე. ეს იქნება, უმუშევრობის დაძლევა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, პრობაციონერებისა თუ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დახმარება. წარმოებიდან შემოსული მოგებაც, სწორედ ამ მიზნის მიღწევას ხმარდება. სოციალური საწარმო, ერთის მხრივ, ეხმარება საზოგადოებას, ამასთან მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მისი ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა კი ის არის, რომ სოციალური მეწარმეები ხშირად სწორედ საერთო პრობლემის მატარებელი ადამიანები ხდებიან, რომლებიც შემდეგ ერთად ზრუნავენ მათ მოგვარებაზე.

იმის გასარკვევად, თუ როგორ უნდა შეძლოს მსურველმა გახდეს სოციალური მეწარმე, მოიძიოს დაფინანსება და რამდენად დიდია რისკი ამ საქმეში – ჩვენ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს“ დავუკავშირდით, რომელიც სხვა ორგანიზაციებთან ერთად სოციალური მეწარმეობის წახალისებაზე აქტიურად მუშაობს. „ცენტრის“ პროექტის მენეჯერის - ზვიად მოდებამის განმარტებით, სოციალური მეწარმეობის განვითარება მნიშვნელოვანია როგორც სამოქალაქო სექტორისთვის, ისე სახელმწიფოსთვის და მთლიანად საზოგადოებისათვის.

ბატონო ზვიად, რატომ უნდა დაინტერესდნენ ადამიანები ამ ტიპის საქმიანობით, თუ ის გათვლილი არ იქნება პირად მოგებაზე? რა არის მისი უპირატესობა?

საქართველოში საკმაოდ მძიმე სოციალური ფონია. არის არა ერთი პრობლემა, რომელიც მოსახლეობას აწუხებს. ამიტომ, ისეთი ტიპის ორგანიზაციების არსებობა, რომლებიც სოციალური პრობლემების მოგვარებას უწყობს ხელს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მისი უპირატესობა სწორედ ის არის, რომ ის ზრუნავს არა რომელიმე კონკრეტული პირის ფინანსურ სარგებელზე, არამედ ხელს უწყობს საზოგადოებაში აქტუალური პრობლემების მოგვარებას. რის ხარჯზეც გვარდება არა ერთი ადამიანის, არამედ ათობით და ასობით ადამიანის პრობლემა. სწორედ ამიტომ, ამ ტიპის საწარმოებში ხშირად საერთო პრობლემის მატარებელი ადამიანები ერთიანდებიან. ამასთან, ის ქმნის

დამატებით სამუშაო ადგილებს, განსაკუთრებით ისეთი ჯგუფებისათვის, რომლებსაც ჩვეულებრივ პირობებში დასაქმება უჭირთ. აქედან გამომდინარე, სოციალური მეწარმე ვერ იქნება ადამიანი, რომელსაც მხოლოდ მატერიალური სარგებელი ამომძრავებს.

ვინ შეიძლება გახდეს სოციალური მეწარმე და თუ არსებობს ამ ტიპის საქმიანობისთვის განსაზღვრული კონკრეტული სამართლებრივი ფორმა?

სოციალური მეწარმე შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი. მთავარია სწორად იყოს მოფიქრებული იდეა. იმისთვის რომ საქმიანობა რეალურად წარმატებული აღმოჩნდეს, წინასწარ უნდა იყოს გაწერილი საწარმოს განვითარების გეგმა. რაც შეეხება სამართლებრივ ფორმებს, საქართველოს კანონმდებლობა ჯერჯერობით არ იცნობს ტერმინს – „სოციალური მეწარმოება“ და არ არსებობს მისთვის შესაბამისი რაიმე სპეციფიკური სამართლებრივი ფორმა, შესაბამისად, მსურველს არჩევანის გაკეთება მოუწევს არსებული იურიდიული ფორმებიდან.

ბატონო ზვიად, ძალიან მნიშვნელოვანია თუ სად უნდა მოიძიონ ადამიანებმა დაფინანსება მსგავსი ბიზნეს საქმიანობის დასაწყებად?

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც აღნიშნულ თემატიკაზე მუშაობენ პერიოდულად აქვთ საგრანტო პროგრამები. რაც შეეხება საგრანტო თანხის ოდენობას და სხვა დამატებით პირობებს, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ თვალი ადევნონ ვებ. გვერდს: www.cse.ge, სადაც ინფორმაცია იქნება განთავსებული, როგორც საგრანტო კონკურსებზე, ასევე სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სხვა ტიპის სიახლეზე.

ჟურნალისტი სოფო ჯიაძე

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი